ცნობის ფურცელი

№ 1823 ხუთშაბათი, 30 მაისი 1896—1902 ყოველ-დღიური გამოცემა № 1823

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით" პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე"-„ცნობის ფურც." რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებ..ს გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 372

ყოველ დღიური გაზეთი

„ცნობის-ფურცელი"

სურათებიანი დამატებით

1-ლ ივნისიდან წლის დამლევამდე ტფილისში დარიგებით და ქალაქგარეთ გაგზავნით (რუსეთის იმპერიაში) ღირს 4 მან.

ადრესი: Тифлисъ, редакція «Цнобисъ-Пурцели» (Большая Ванкская ул., домъ Мартирузова).

„ქართულ დრამატიულ საზოგადოების"

გამგეობა აცხადებს, რომ იგი ჰნიშნავს

ორს პრემიას

200 მან. და **100** მან.

ქართულ დრამატიულ ნაწარმოებთა დასაჯილდოვებლად.

პრემიის პირობები შემდეგია:

1) საპრემიოდ წარმოდგენილი პიესა უნდა იყოს ორიგინალი, დაუსტამბავი და სცენაზე დაუდგმელი.

2) პიესა უნდა შეიცავდეს სამს მოქმედებაზე არა ნაკლებს.

3) პიესა უნდა გამოიგზავნოს „ქართულ დრამატიულ საზოგადოების" გამგეობის სახელზე რაიმე დევიზის ზედ-წარწერით; პიესასთან ერთად უნდა წარმოდგენილ იყოს დაბეჭდილი კონვერტი, სადაც აღინიშნება ავტორის ვინაობა და ადრესი.

შენიშვნა: კონვერტი გაიხსნება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც პიესა ცნობილი იქნება პრემიის ღირსად.

4) პიესის საპრემიოდ წარმოდგენის ვადა თავდება პირველს ოქტომბერს 1902 წ.

5) „დრამატიულ საზოგადოების გამგეობას" ორის წლის განმავლობაში განსაკუთრებული უფლება აქვს პრემიით დაჯილდოვებულ პიესის წარმოდგენისა სცენაზე.

6) დაჯილდოვებულ პიესის ავტორს მიეცემა ჰონორარად თითოეულ წარმოდგენის მთელის შემოსავლის 5 პროცენტი.

7) შედეგი პიესების კონკურსისა გაზეთებში იქნება გამოცხადებული. (ნ. 0—3)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მიხეილ გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა

დ ი ლ ი თ:

პ. ი. ჭიჭინაძე—კბილის სნეულებანი 8—10 საათამდე.

მ. ა. გედევანიშვილი—ნერვების 9—10 საათამდე. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ზ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი 10—11 საათამდე, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—12 საათამდე.

ქ. მ. ელიოზიშვილი—შინაგანი და ბავშვებისა 11—12 საათამდე.

ა. ზ. ბარსუკოვი—დედათა სნეულებანი, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკევობით 12—1 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 სას თ.

გ. მ. ამბარდანოვი—სიფილისისა, კანისა და საშარდესი 1—2 საათამდე.

სტ. ალ. ვოინო—ქირურგია ორშაბათობით, ოთხშაბათობით და შაბათობით. 1—2 საათამდე.

ს ა ღ ა მ ო თ ი:

ი. ნ. თუმანიშვილი—დედ-თა სნეულებანი 5—6 საათამდე.

მ. ი. იანჩევსკი—ყურისა, ყელისა და ცხვირისა. 5—6 ს. კვირაობით 12—1 ს.

პ. ზ. მაღალაშვილი—შინაგანი ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 საათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

ზ. მაღალაშვილი—კვირაობით, 10—12 საათამდე.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები და კრაოტები—მორიგებით.

ადრესი: კუკია, ნიკოლოზის ქუჩა, სახლი სვგინამვილისა, № 21. (ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ.-ტელეფონი № 274. (წლ.)

ბებია

პ. მ. ლიმონი

ცხოვრობს სუდებნის ქუჩაზე, სახლი მირზოევისა, № 34, სადგომი თ. ანდრონიკაშვილისა, საოლქო სასამართლოს რიგზე. (0—11)

ე ქ ი მ ი

ალექსანდრე გიორგის ძე

მაღალაშვილი

იღებს ყოველ-დღე შინაგანისა და საბავშო სნეულებით ავადმყოფებს დილით 12—2 საათამდე და საღამოთი 4—5-მდე-ე მიიღებს აგრეთვე საქმიო: ქიმიურ, მიკროსკოპიულ და ბაქტერიოლოგიურ გამოკვლევათა. ოქრო-მჭედლების ქუჩა, № 40, თუ. ლაევის სახლი.

საზღვარ-გარედ

ინგლისი. მიუხედავად კოკისპირული წვიმისა, 4 მაისს, მთელი მოედანი ლორდ-მერის სასახლის წინ, ლონდონში, სავსე იყო ხალხით. ყველა იმ აზრისა იყო, რომ სწორედ ახლა, მეფის დაბადების დღეს, გამოაცხადებენ ზავის შეკვრის ამბავსაო. დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც იგივე ბრბო ამავე მოედანზე სისხლის ძიებით გატაცებული სამხედრო ცეკვას უვლიდა. ამ ბრბოს სულის მდგომარეობა მაშინ სწორედ სასოწარკვეთილებაში მოიყვანდა ყველას, ვინც მანამდე პატივისცემით უყურებდა ანგლო-საქსონთა რასას, როგორც პოლიტიკური თავისუფლების მქადაგებელს. ახლა კი ეს ბრბო გაგაოცებდათ თავისი გულ-კეთილობით. თქვენ აქ ველარ გაიგონებდით ომის წყურვილით სავსე სიტყვებს, რომელნიც ჯერ კიდევ პოულობენ ადგილს ზოგიერთ „პატრიოტულ" გაზეთის ფურცლებზე. აი ერთი იხდის ცილინდრს, რომლისაგანაც წყალი წურწურით ჩამოდის, და ჰყვირის: „ჯენტლმენტო, გაუმარჯოს მეფეს!" და ბრბოც ურას იძახის. შემდეგ იგივე ორატორი იწყებს: „გაუმარჯოს ჩვენ მომავალ მეგობრებს (ბურებს), რომელნიც დიდი ხანი არ არის, რაც ჩვენი მამაცი და სახელოვანი მტერნი იყვნენ!

„ვაშა, ვაშა!"—ჰყვირიან პასუხად. როგორც პატრიოტულ სატურნალიების დროს, ახლაც გამოძვრნენ საიდგანღაც აბრანძულ-დაბრანძული, გასიებული ჯენტლმენები ბაირაღებით, ლოროტოტოებით, არახჩინებით, ფარშავანგის ბუმბულით შემკულნი, ცოცხებით, ჭრიალებით და სხვ. ბრბო გაფაციცებით იტაცებს ყველა ამას და ირთობა, რომ გადაიხადოს ზავის შეკვრის დღესასწაული.

ზავის შესახებ „სტანდარტ"-ი თავის მოწინავე წერილში გაზვიადებულ ქებას არ უძღვნის ბრიტანიის „ძლევამოსილ" ჯარს, და თუ ღირსეულს მიუწყავს მის მოქმედებას, იმავე დროს არა ერთხელ იხსენიებს ბურების სიმამაცეს, მათ უმაგალითო ბრძოლას. ბრიტანიის და საკოლონიო ჯარს პირველად შეხვდა ასეთ მოპირდაპირესთან ომიო. გაზეთი იგონებს, რომ ომი ატყდა შედარებით უმნიშვნელო საბაბთა გამო და დასძენს: რაც უფრო მეტად ითვალისწინებდნენ ინგლისელები მათ წინ გადაშლილ საკითხის სიდიადეს, ე. ი. სამხრეთ აფრიკის ახალ საფუძველზე მოწყობას, ისინი მით უმეტეს იმსჭვალებოდნენ სასტიკი გარდაწყვეტილებით ომის ბოლომდე მიყვანის შესახებო. იმ ტვირთს, რომელსაც ინგლისის ერი ამ სამი წლის განმავლობაში იტანს, სამხედრო ისტორიაში პრეცედენტი არა ჰქონიაო. გაჭირვებამ და შიშიანობამ, რომელიც ჩვენ ამ დროს განმავლობაში გამოვიარეთ, უფრო გაგვაძლიერა, შეგვაკავშირა და უფრო ღრმად შთაგვინერგა ეროვნული ერთობის გრძნობა, აგვამაღლა მოყვრების და მტრების თვალშიაც. გაზეთი გულწრფელად დარწმუნებულია, რომ რაც უფრო იშლებოდა სამხრეთ-აფრიკის დრამა, საზღვარგარეთ იმდენათ უფრო სასარგებლო აზრს ადგენდნენ ინგლისზეო. უკანასკნელმა ნაბიჯმა კი უფრო მეტი მნიშვნელობა მიანიჭა ინგლისს საერთაშორისო კონცერტშიო.

ბურების საგმირო მოქმედებაო,—ამბობს შემდეგ იგივე გაზეთი,—მათ უფროსთა სამხედრო სახელი, რომელნიც შემთხვევამ აქცია მეომრებათ და რომელნიც არა ერთხელ იმარჯვებდნენ ომებში გამოცდილ რეგულიარულ ჯარის ღენერლებზე,—ყოველი ესე დაშთება აფრიკანდერების საზოგადო სამკვიდრებლად იმ ბედნიერი მომავლისა, რომელიც ბრიტანიის დროშის ქვეშე მათ მოელისო. საბედნიეროთ,—ამბობს გაზეთი,—ჩვენდა სანუგეშებლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ თუ ჩვენ მორჩილებამდე მივიყვანეთ ეს მამაცი ხალხი, თუ ჩვენ მათ დამოუკიდებლობა წავართვით, სამაგიეროდ შეგვიძლია მათ მრავალ-გვარი კომპენრაცია ვუძღვნათო.

ახლა, როდესაც ბრძოლის სიმწარემ გაიარა, ინგლისელები კეთილ-განწყობილებას გრძნობენ დამარცხებულთადმი და დარწმუნებულნი არიან, რომ ბურები მტრათ აღარა ჰყავთ. დღეიდან ბურები მათი თანამემამულენი ხდებიან და ინგლისი მზადაა ისარგებლოს მათი დახმარებით სამხრეთ აფრიკის ჭრილობათა გასამრთელებლად და ურთი-ერთ შორის ბრძოლის მოსასპობლად. ბურებმა უნდა მშვიდობიანობის საქმეს მოახმარონ ის გასაოცარი თვისებანი, რომელთაც მათ პატივისცემა მოუპოვეს საომარ ასპარეზზედ. ამ გვარის მეგობრული შრომით, სამხრეთ აფრიკა მალე დაიკავებს პირველ ალაგს ბრიტანიის კოლონიათა შორის. გაზეთი ურჩევს ინგლისელებს, თავი შეიკავეთ გარდამეტებულ სიხარულის გამოცხადებისაგან, რაიც შეურაცხმყოფელია დამარცხებულთათვისო.

ახალი ამბავი

◆ „ქართ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას" ხალხში წიგნების გასავრცელებლად საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში ჰყავს აგენტები, რომელთაც ყოველ წლობით ეგზავნებათ საზოგადოების გამოცემანი. ამ აგენტების უმეტესობა ძალიან გულცივად და გაუგებელის თვით ნებობით ექცევა საქმესა და საზოგადოებას; ზოგს მათგანს 1000 მან., ზოგს 500 და ზოგსაც 200 მან. წიგნები გაუყიდიათ და კუთვნილი ფული საზოგადოების გამგეობაში ჯერაც არ წარმოუდგენიათ. მთელი ვალი აღნიშნულ პირებზე ამა 1902 წლის 1 იანვრისთვის ყოფილა სულ 3810 მან. ამ დღეებში „წ. კ. გ. საზოგადოების" გამგეობის განკარგულებით საზოგადოების მდივანმა ბარათები დაუგზავნა აღნიშნულ პირთ რაც შეიძლება საჩქაროდ წარმოუდგინონ საზოგადოებას მისი კუთვნილი ფული. საზოგადოებას უკანასკნელ წლებში რამდენიმე ფრიად საყურადღებო საქმეები აქვს წამოყენებული, რომელთა განხორციელება აუცილებელ საჭიროებად შეიქნა, მაგრამ საშუალებათა სიმცირე ყველაფერს აბრკოლებს. არ შეგვიძლიან ეს გარემოება არ მოვაგონოთ საზოგადოების მოვალე პირებს, რომელნიც არა-თუ არ უნდა აყოვნებდნენ კუთვნილის ფულის გამოგზავნას, არამედ თვითაც ზნეობრივად მოვალენი არიან დახმარება აღმოუჩინონ ამ სიმპატიურ საზოგადოებას.

◆ დღეს, 30 მაისს, დანიშნულია **საბჭოს სხდომა**, რომელზედაც, სხვათა შორის, უნდა განიხილონ ქალაქის ამა მიმდინარე წლის გასავლის ხარჯთ-აღრიცხვა გამგეობისა და საფინანსო კომისიის მოხსენებასთან ერთად რამდენიმე შესავალს-გასავლის სტატიების შეცვლის შესახებ; სავალდებულო დადგენილებანი ქალაქის სახლების ახლად დანომვრის შესახებ; ნიხრი ქალაქის მეეტლეებისა, მედროგეთა და სხ. შესახებ. სულ საბჭოს განსახილველად აქვს 22 საქმე. ოთხჯერ ზედიზედ საბჭოს სხდომის გადადების გამო მრავალმა საჩქარო საქმეებმა მოიყარა თავი.

◆ **გორიდან** გვწერენ შემდეგ ამბებს: 27 მაისს, გორის მაზრის თავად-აზნ. წინამძღოლის თავ. გ. ა. ბაგრატიონ-დავიდოვის თავმჯდომარეთბით მოხდა ქართველ მემამულეთა კრება, რომელზედაც განხილულ იქმნა საძოვარი ადგილების გაწეს-რიგების საქმე. ეს ფრიად საინტერესო საქმე დაიწყო ამ 30 წლის წინად ტფილისის გუბერნიის საგლეხო საქმეთა საკრებულოს ინიციატორობით, მაგრამ დღემდე არავითარი პრაქტიკული შედეგი არ მოჰყოლია მას. სამწუხაროდ, გორის კრებასაც ეს იღბალი ჰხვდა და აქაც არა გამოვიდა-რა. დამსწრე პირთა დადგენილებით მეორე კრება მოხდა 28 მაისს ქ. ტფილისში გენერალ-ადიუტანტის ი. გ. ამილახვრის თავმჯდომარეობით და, როგორც გადმოგვცეს, ტფილისის კრებასაც გაძნელებია საქმის რიგიანად დაბოლოვება. სასურველია ამ საქმის გადაწყვეტაში მონაწილეობა მიიღონ სპეციალურ დაწესებულებებმა, საზოგადოებებმა და მცოდნე პირებმა და რაც შეიძლება დააჩქარონ მისი დაბოლოვება.

აქეთკენ ჰირნახულის მოსავალს კარგი პირი უჩანს ჯერ-ჯერობით, თუ სეტყვამ ან სხვა რამე სტიქიურმა უბედურებამ არ დააზიანა. ყურძნისა და ხეხილების მოსავალი კი სიცივეებისა და ყინვების გამო ძლიერ ცოტა იქნება.

კვირას, 26 მაისს, საამილახვროს მიდამოში სოფ. კეხას მცხოვრებლებმა სასიკვდილოდ სცემეს ძმ. თავ. გიორგი და გენო ამილახვრებს და ორს მათ მოურავს გლეხ დვანაძეებს. ერთი გლეხთაგანი მაშინვე გარდაიცვალა.

◆ გუშინ, 29 მაისს, კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიამ შეატყობინა კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების საბჭოს, რომ, თანახმად მისის შუამდგომლობისა, საფრანგეთის ქვეშევრდომი გასტონ ფლერი კავკასიაში სასოფლო-მეურნეობის განვითარების საქმეში მოღვაწეობისათვის დაჯილდოვებულ იქმნა უმაღლეს მთავრობისაგან წმ. ანნას მე-3 ხარისხის ორდენით.

◆ სამშაბათს, 28 მაისს, ქალაქის თავის მოადგილის შესტაკოვის თავმჯდომარეობით მოხდა შეერთებული სხდომა ქალაქის გამგეობისა და საფინანსო კომისიისა, რომელზედაც ქალაქის თავმა განაცხადა, რომ უნდა შეიცვალოს ზოგიერთი მუხლი ქალაქის ამა 1902 წ. **შემოსავალ—გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა.** შეერთებულმა სხდომამ განიხილა მთელი ამ საქმის შესახებ წარდგენილი ცნობები და გადასწყვიტა: ხარჯთ-აღრიცხვის მე-VII §-ში აღნიშნული ქალაქის ლომბარდის მოგება უნდა იქნეს ნაანგარიშევი სულ 2260 მან., ნაცვლად 8589 მანეთისა, ხოლო ჯამი საობლიგაციო სესხისა მე-45 სტატიით უნდა ითვლებოდეს 14,143 მან., 21018 მან. ნაცვლად. მე-VII §-ში ხორცით სავაჭრო დუქნის საწარმოებელ თანხისათვის გადაიდვას 20,000 მან.; ქალაქის დასაფასებელ გარდასახადის დროზედ შემოუტანლობისათვის ჯარიმად შეტანილ იქნეს 20,500 მან. ამის შემდეგ მთელი შემოსავალი ხარჯთ-აღრიცხვით უდრის სულ 1,401,033 მან.

გასავალის ხარჯთ-აღრიცხვის საბოლოოდ შესადგენად შეიცვალნენ აგრეთვე ზოგიერთი მუხლები: ბიბლიოთეკის თანხის შესადგენად უნდა გადაიდვას 4000 მ., ნაცვლად 2000 მანეთისა. უნდა შეტანილ იქმნეს ტფილისის საურთიერთო დამზღვევ საზოგადოებისათვის გადასაცემად 4000 მ.; გადაიდოს 4277 მან. ქალაქის იმ ზარალის აღსადგენად, რომელიც მოუვიდა შარშან ქალაქს კასის გატეხითა და იქიდან ფულებისა და სხვა ფასიან ქაღალდების მოტაცებით; ტფილისის სახელოსნო სკოლის სამეურნეო ხარჯად უნდა გადიდვას 13,455 მან. ნაცვლად 13,881 მანეთისა და სხვა. სულ გასავალი ნაანგარიშევია 1,400,966 მან.

◆ კვირას, 26 მაისს, ტფილისის სათავადაზნაურო ბაღში, კნ. ოლღა თადეოზის ასულის ჭავჭავაძის მეთაურობით გამართულ **სეირნობა-ბაზრიდან შემოვიდა** სულ 1064 მან.; ხარჯს გარდა ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ დარჩა წმინდა შემოსავალი 650 მან.

◆ ტფილისის სახელოსნო გამგეობამ ამ დღეებში ტფილისის გუბერნატორს წარუდგინა დასამტკიცებლად ხელოსანთა წარმომადგენლების უკანასკნელ კრების ოქმი ხელოსანთა მოურავის სერობიანცის არჩევნების შესახებ.

◆ დღეს, 30 მაისს, საღამოს 8 საათზე, ქალაქის გამგეობის დარბაზში გამგეობის წევრის თავ. ვ. ნ. ჩერქეზიშვილის თავმჯდომარეობით სხდომა ექნება იმ კომისიას, რომელსაც ქალაქის სხვა ნაწილებში ხორცით სავაჭრო **საქალაქო დუქნების** მოწყობის საქმე აქვს დავალებული.

◆ 28 მაისს, ნაშუადღევის 2 საათზე, ტფილისის მოქალაქის შვილი, 6 წლის კონდრატი კაპანასოვი გაუფრთხილებლობისა გამო გადმოვარდნილა 3 საჟენის სიმაღლიდან. მოუტეხია ერთი ფეხი და ძალიან დაუშავებია თავი ქვაზე დაცემით.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ პროფესორმა ვ. მ. პეტრიაშვილმა გამოუგზავნა ქალაქს მოკლე ხარჯთ-აღრიცხვა იმ ქიმიურ ლაბორატორიისა, რომლის გახსნასაც ჰფიქრობენ ქალაქ ქუთაისში. ეს ხარჯთ-აღრიცხვა შემდეგია:

I. ყოველ წლიური ხარჯი: რეაქტივებისა და ხელ საწყოს შეძენა 1000 მ., განათება და გათბობა 500 მ. მოსამსახურეების ჯამაგირი 480 მ., საკანცელარიო ნივთების შეძენა—120 მ., ჟურნალები და წიგნები—300 მ., მიწერ-მოწერის გამგეს (ПИСЬМОВОДИТЕЛЬ)—600 მ., ორ ლაბორანტს (თითოს 1200 მ.)—2400 მ., უფროს ლაბორანტს—1800 მ., მმართველს—3000 მ., სულ—10,000 მანათი.

II. ერთ დროული ხარჯი, რომელიც დასჭირდება ერთ-ერთ ხარისხის ლაბორატორიას (სამი ხარისხია ნაჩვენები):

	I ხარისხი,	II ხარ.	III ხარ.
შუშეულობა და ფაიფორი	2400 მ.	1500 მ.	1000 მ.
მოწყობილობა გამოკვლევებისათვის	3700 მ.	2100 მ.	1300 მ.
რეაქტივები	6700 მ.	4100 მ.	2000 მ.
წიგნთ-საცავი	1500 მ.	1000 მ.	700 მ.
ავეჯი	1800 მ.	1400 მ.	900 მ.
წყალი და გაზი	1000 მ.	1000 მ.	1000 მ.
ფრახტი და ბაჟი	1500 მ.	1100 მ.	900 მ.
სულ	20,600 მ.	13,700 მ.	8,800 მ.

ამას დასძენს ბ. პეტრიაშვილი, რომ პირველად შეიძლება, თუ ნივთიერი საშუალება ნებას არ მისცემს ქალაქს, გაიხსნას მესამე ხარისხის ლაბორატორია და შემდეგ საშუალების დაგვარად გაფართოვდეს. ამასთან ისიც შეიძლება, რომ ამგვარად შემცირდეს ყოველწლიური ხარჯიო:

რეაქტივები და ხელსაწყო	500 მ.
განათება და გათბობა	500 მ.
მოსამსახურეები	240 მ.
საკანცელარიო ნივთები	100 მ.
ჟურნალები და წიგნები	160 მ.
ორი ლაბორანტის ჯამაგირი	2400 მ.
მმართველის ჯამაგირი	3000 მ.
სულ	6,900 მ.

ამგვარად მესამე ხარისხის ლაბორატორიას სჭირდება პირველ წელს 15,700 მან., შემდეგკი ყოველ წლობით 6,900 მან. როგორც მკითხველი დაინახავს, ნაჩვენები რაოდენობა სულ მცირე იქნება იმ სარგებლობასთან შედარებით, რომელიც შეიძლება მოუტანოს ლაბორატორიამ კერძოთ ქუთაისს, რომელიც, ღმერთმა იცის, რით საზრდოობს, და საზოგადოთ მთელი ქუთაისის გუბერნიას, მდიდარს ყოველგვარი მადნეულობით. ნურც ის დაგვავიწყდება, რომ მალე ლაბორატორია ერთი ორათ გამოიყიდის მასზე გაწეულ ხარჯებს.

სტუდენტთა დამხმარებელ საზოგადოების კრება

სამშაბათ საღამოს „არტისტიულ საზოგადოების“ დარბაზში შეიკრიბა ორმოცდაათზე მეტი წევრი ამ „საზოგადოებისა“. კრების თავმჯდომარედ აირჩიეს ნაფ. ვექილის თანაშემწე მ. გრუზენბერგი, რომელმაც პირველადვე ის მოახსენა საზოგადო კრებას, რომ პირველ კრების არჩევანების გამო ახალს გამგეობას ორი წერილობითი საჩივარი მოუვიდა შესახებ იმისა, რომ ის არჩევნები უკანონოდ უნდა ჩავთვალოთ, რადგან საარჩევნო წესი დარღვეული იყო პირველ კრებაზედაო. ამათგან ბ-ნი მიტკევიჩი აცხადებდა, რომ მე კენჭის ჩამოტარებას არ დავსწრებივარ და არც არავისათვის მიმინდვია ჩემს მაგიერ თანხმობა გამოეცხადებინათ ჩემი კენჭის ჩამოტარებაზედ და, ჩემთვის რომ ყუთი არ დაედგათ და არ გავეშვებინეთ, ვინ იცის, იქნება ამით სხვას შეემატებოდა ჩემი კენჭებიო. მეორე მომჩივანი ბ-ნი ამირალოვი კიდევ უფრო შორს წასულა თავის საჩივრით, ზოგი ისეთი მიზეზი დაუსახელებია, რომელსაც სრულებით ადგილი არა ჰქონია პირვანდელ კრებაზე და ზედ-მეტი კიდევ ის დაუწერია ბ-ნ ამირალოვს, რომ საზოგადო კრებას ზოგან უკადრისის სიტყვებით იხსენიებს და გამგეობას მუქარით უცხადებს: თუ გამგეობა და საზოგადო კრება იმის საბუთებს არ შეიწყნარებენ და პირვანდელ არჩევნებს უკანონოდ არ აღიარებენ, იმ შემთხვევაში იგი კრების ოქმის პირს ითხოვს, რომ გუბერნატორთან ვიჩივლო და ამ გზით სიმართლე და კანონიერება აღვადგინოო.

დიდი კამათი ჩამოვარდა იმაზე, კანონიერად ვიცნოთ პირველ კრებაზე მომხდარი არჩევნები, თუ არაო. კრებამ, გარდა ხუთის კაცისა, დაადგინა—არჩევნები სრულიად კანონიერად მომხდარიაო.

შემდეგ ამისა ახალ გამგეობის თავმჯდომარემ ს. მ. ლავროვმა გამოუცხადა კრებას, რომ გამგეობა მადლობას უძღვნის საზოგადო კრებას ნდობისა და პატივსცემისათვის, მაგრამ გამგეობა მაინც საჭიროდ სთვლის თავი დაანებოს სამსახურს, რომ „საზოგადოებამ“ ერთხელ კიდევ მოახდინოს არჩევანი და თავისი სურვილი უფრო სავსებით გამოსთქვას. ამას გარდა, ასე თუ ისე, პირველ არჩევნების შესახებ საზოგადოებაში მაინც ჩამოვარდა მითქმა-მოთქმა და ჩვენი სურვილია ამ თავითვე ფესვიანად აღმოვფხვრათ ყოველივე იქვიანობა და უსიამოვნება, რომელიც რაღაც მოულოდნელის მიზეზებისა გამო თან დაჰყვა დიდის შრომითა და მეცადინეობით დაბადებულს ახალს საქველ-მოქმედო საზოგადოებასაო.

კრებამ მოუწონა ასეთი საქციელი ახალს გამგეობას, მადლობა გამოუცხადა და სთხოვა შემდეგ არჩევნებამდე თავის მოვალეობა აასრულოს. ხოლო თვით წევრთა არჩევანი შემდეგის კრებისათვის გადასდო, რომელიც უნდა მოხდეს ივნისის 5 რიცხვს.

ამის შემდეგ ზოგიერთებმა ლაპარაკი დაიწყეს ამირალოვის მიერ ნათქვამ უდიერის სიტყვების გამო. კრების უმრავლესობამ დაადგინა: მწუხარებით აღვნიშნავთ, რომ ბ-ნმა ამირალოვმა საზოგადოებისათვის უკადრისი სიტყვები იხმარა იმ საჩივარში, რომელიც მას გამგეობისათვის მიუცია პირველ კრებაზედ მომხდარ არჩევნების უკანონოდ საცნობელადო.

ჩვენ გვინდა კიდევ ერთი გარემოება აღვნიშნოთ: სამშაბათის კრებაზედ ჩვენ ვერ შევნიშნეთ ბევრნი იმათგანი, რომელნიც პირველ კრებაზედ მონაწილეობას იღებდნენ. სამაგიეროდ ბევრი ახალი წევრი დაესწრო კრებას და გულითადადაც ეკიდებოდნენ ახალის „საზოგადოების“ მომავალის მოღვაწეობის საქმე-ვითარებას. ჩვენ იმედი გვაქვს, ამ „საზოგადოებას“ კიდევ მეტი გამოუჩნდება კეთილის მოსურნე და თავის ყურადღებას არ მოაკლებს, რომ ხელი შეუწყოს „საზოგადოების“ საკეთილო განზრახვებს.

ქუთაისის ქალაქის საბჭო

საბჭოს სხდომა 27 მაისს გაიხსნა საღამოს $8^1/_2$ საათზე ქალაქის თავის თავმჯდომარეობით.

საბჭოს მოხსენდა კომისიის დასკვნა აფთიაქისთვის შენობის გადაკეთების შესახებ. კომისია იმ აზრისაა, რომ ეხლანდელ ქალაქის დუქნებს დააშენდეს მეორე სართული. ამისათვის ქალაქმა უნდა ისესხოს 10000 მანეთი ათი წლის ვადით. საბჭომ მოიწონა კომისიის დასკვნა და მიანდო მისი შესრულება ქალაქის გამგეობას, რაც შეიძლება, მოკლე ხანში.

წაკითხულ იქნა მოიჯარადრის ჭითავას თხოვნა იმის შესახებ, რომ ქალაქს ეზღო მისთვის 274 მან. და 61 კაპ., რომელიც ერგებოდა მას მესხეთის ქუჩის შეკეთებაში. როგორც აღმოჩნდა, 1894 წელს ჭითავას შეუკეთებია მესხეთის ქუჩა, რისთვისაც ერგებოდა 606 მან. და 90 კაპ. აქედან ქალაქის საწილო 332 მ. და 29 კაპ. მას უკვე მიუღია; დანარჩენი 274 მ. 61 კაპ. კი უნდა მიეღო კერძო მესაკუთრეებისაგან. მაგრამ მაშინდელი ქალაქის თავი სიტყვიერად დაჰპირებია მოიჯარადრეს ქალაქისაგან მიიღებ სრულ კმაყოფილებასო. ამ კითხვამ დიდი კამათი გამოიწვია. ზოგიერთი ხმოსნები საფუძვლიანად სცნობდნენ ჭითავას თხოვნას და ამტყუნებდნენ—და სამართლიანადაც—წინანდელ ქალაქის გამგეობას, რომელიც სიტყვიერ პირობებს აძლევდა მოიჯარადრეებს და შემდეგ აღარ უსრულებდა. საბჭომ 16 ხმის უმეტესობით, 12 წინააღმდეგ, შეიწყნარა ჭითავას თხოვნა.

საბჭოს მოხსენდა ხმოსნის ი. გველესიანის განცხადება იმის შესახებ, რომ ის სწირავს ქალაქს ხუთი ათას მანეთს, რომლის სარგებლითაც უნდა დაარსდეს მის სახელზე ერთი სტიპენდია უმაღლეს სპეციალურ სასწავლებელში. საბჭომ დაადგინა მადლობა გამოეცხადოს შემომწირველს და აღიძრას მთავარმართებელთან საჭირო შუამდგომლობა.

წაკითხულ იქნა ქუთაისის წყლისავვანისა და ელექტრონული ტრამვაის ამხანაგობის გამგეობისაგან წარმოდგენილი ცნობა იმის შესახებ, რომ ამხანაგობამ მიიღო ნებართვა ქუთაისში ელექტრონულ ტრამვაის გამართვისა. საბჭომ დაადგინა სახეში მიღებულ იყოს ეს ცნობა.

საბჭოს მოხსენდა პურის მხმარებელთა ქუთათურ ამხანაგობის „იმედი“-ს მმართველის თხოვნა იმის შესახებ, რომ პურის ნიხრს მოუმატოს, რადგან პურის ფქვილი ძლიერ გაძვირდაო. საბჭომ დაავალა გამგეობას შეკრიბოს ცნობები იმის შესახებ, თუ რა ფასებში იყიდება ადგილობრივი ან რუსეთიდან შემოტანილი პურის ფქვილი, და ეს ცნობები წარუდგინოს საბჭოს სხდომას.

შემდეგ საბჭოს მოხსენდა სიაში აღუნიშნავი კითხვა იმის შესახებ, რომ ქალაქმა იშუამდგომლოს, რომ ქუთაისში დაარსდეს ტეხნიკური სარკინის გზო სასწავლებელი. საბჭომ მიანდო გამგეობას აღძრას ამ საგნის შესახებ თხოვნა.

დანარჩენი კითხვები ზოგი სრულიად უკამათოთ გადაწყდა და ზოგიც—რიცხვით შვიდი—გადაიდო შემდეგი სხდომისათვის, რომელიც მოხდება მომავალ კვირაში.

ამხანაგი.

სიღნაღის მაზრის თავად-აზნაურთა კრება

კვირას, 26 მაისს, სიღნაღში მოხდა მაზრის თავად-აზნაურთა კრება. კრებას, რომელსაც თავმჯდომარეობდა თავად-აზნაურთა წინამძღოლი თავ. მ. რ. ვაჩნაძე, ძალიან ცოტა დაესწრო, სულ 18 კაცი, და სულ ორი კითხვა ჰქონდა განსახილველი. პირველი კითხვა შეეხებოდა უმაღლესად ბოძებულის ფულის მოხმარებას. თავად-აზნაურთა წინამძღოლმა გააცნო ეს კითხვა და სთხოვა გამოეთქვათ თავიანთი აზრი, თუ როგორ მოიხმარონ ეს ნაბოძები 20 ათასი მან.

სიტყვა ითხოვა დ. ჩოლაყაშვილმა, რომელმაც სთქვა: ნაბოძებ ფულის მოხმარების შესახებ სამი აზრი წარმოსთქვა კომისიამ, აგრეთვე რამდენიმე სხვა აზრიც იყო გამოთქმული საგუბერნიო სათავად-აზნაურო კრებაზე. შეეხნენ ფულის სტიპენდიებით დაწვრილმანებასაც. ჩემის აზრით, ჩვენმა გუბერნიამ ქუთათურებთან ერთად უნდა შევაერთოთ ნაბოძები ფული, შევერთდეთ ერთად და მოვახმაროთ ერთ საერთო ძალას. დანაწილებული ფული ვერაფერ საგრძნობელ ძალას ვერ შეადგენს. დაკერძოვებული საქმეებიც ნაკლებ იწვევენ საერთო საზოგადო თანაგრძნობას. ამოდენა ფულით კი ერთი დიდი საქმე რიგიანად გამოეწყობა. რიგიანად დამდგარ საქმეს კი საზოგადოებაც დახმარებას აღმოუჩენს. ამიტომ, ჩემის აზრით, უნდა შევერთდეთ ჩვენს მოძმე იმერლებთან და ეს ფული საერთოდ საერთო საზოგადო საქმეს მოვახმაროთ. ტყუილია ის შიშიც, ვითომ იმათ, როგორც გამჭრიახმა და უფრო კვირცხლმა ხალხმა, დაგვჯაბნოს—ეს შეუძლებელია, რადგან ნახევარზედ მეტის უფლება მათ არ ექნებათ და ძალიანაც რომ უნდოდეთ მეტით სარგებლობა, ვერას გააწყობენო. 4 ათასი მანათი გვაქვს. 4—5 წლის შემდეგ საბანკო სახლიდგან 5 ათასი წმინდა შემოსავალიც გვექნება, ამ დენიც რომ ქუთაისლებმა შეიძინონ, დიდი ძალა შეგვიდგება. თუ რას მოვახმაროთ ეს ფული, ამაზედ აი რას მოგახსენებთ. ჩვენ მიწითა ვცხოვრობთ, იმისთვინა ვართ დაბადებულნი და უნდა მიწა შევინარჩუნოთ. ჩვენთვის საჭიროა მიწის შემუშავების ცოდნა—ამიტომ ამ ფულით ქუთაისელებთან ერთად შუა გულ ალაგას ორივე გუბერნიებისა საშუალო სამეურნეო სასწავლებელი უნდა დავიარსოთ, რომ აქ კურს-დამთავრებულნი ჩვენი შვილები მამულს დაუბრუნდნენ და ცოდნით აღჭურვილთ რიგიანათ და სასარგებლოთ დაიმუშავონ მამული. ქუთაისლებთან ერთად შეერთებას კეთილი აზრიც აქვს და ამიტომ აუცილებლათ საჭიროა ერთად მოქმედება ამ სარბიელზედ. კარგია ქალების სასწავლებელიც, მაგრამ ჯერ უფრო სამეურნეო სასწავლებელია ჩვენთვის საჭირო. თუ ეს ჩემი აზრი არ განხორციელდა რაიმე მიზეზით, ან ნება არ მოგვცეს ამაზე, მაშინ ეს ფული ისევ საერთოთ გამართულ ბავშვების თავშესაფარის აშენებას მოვახმაროთო.

მ. ნასიძე. კომისიის მოხსენება მოვისმინეთ. თუმცა გამოცდილი ხალხის შედგენილია იგი, მაგრამ მე არც ერთ მათს აზრს არ ვეთანხმები. ჩვენში დიდი ხანია საკამათოთ გამხდარა თუ რომელს მივსცეთ უპირატესობა: სამეურნეო თუ საზოგადო განათლებას. მეც წინეთ მომხრე ვიყავი სამეურნეო განათლებისა, მაგრამ დღეს გამოცდილებამ სხვა დამანახა. მიზეზი ჩვენის დაქვეითებისა საზოგადო გაუნათლებლობაა და არა სამეურნეო. ცხოვრებაში ბევრს შევხვდებით საერთო განათლებულ კაცს, რომელსაც მშვენივრათ მოუწყვიათ თავიანთი მამული. ახლა, როცა საუფლისწულო მამული ახლო გვაქვს, ყველა იქიდგან ხელათ სწავლობს. დღეს ყველგან შეხვდებით დახელოვნებულ პირთ, რომელნიც ისევე სწავლობენ, როგორც განათლებულნი. საჭიროა საერთოთ გონება გახსნილი კაცი, რომ ხელათ შეითვისოს და საბედნიეროთ მოაწყოს მამული. ბევრი გვყავს სამეურნეო სასწავლებელში კურს დამთავრებულნიც, მაგრამ ისინი მამულს არ დაუბრუნდნენ და სასახურში შევიდნენ. რუსეთშიაც კი აგრონომებს ვერ გამოუყენებიათ თავიანთი ცოდნა და ისევ სამსახურში შედიან და ჩვენ ხომ რუსეთზედ უკეთეს სასწავლებელს ვერ შევქმნით. საზოგადოთ განათლებული კაცი, გონება გახსნილ-განვითარებული პირი სცხოვრებას შეუფარდებს გარემოებას, სადაც უნდა იყოს იგი და უკეთ ისარგებლებს მამულითაც და ცხოვრებითაც. ჩვენ სიღნაღის მაზრას სხვა საჭიროება გვაქვს და ამაზედ უნდა ვიზრუნოთ ჩვენც. ჩვენი მიზანი უნდა იყოს ნორჩი ბავშვები არ მოვიშოროთ თვალიდან. ამბობენ, ჩვენი ყმაწვილები არა სწავლობენო. ამისი მიზეზი სწორედ ეს არის, რომ მოშორებულნი არიან სახლსა, მშობლიურ სიყვარულს და

ნათესაობას. ჩვენ თუ გვინდა ყმაწვილებმა კარგათ ისწავლონ და ზნეობითაც მაღლა იდგნენ, საჭიროა 14—15-წლამდინ შინ დავიტოვოთ ჩვენ თვალ-წინ. ამიტომ კი საჭიროა ჩვენი წილი ფული გამოვიყოთ, და ამ ფულით აქ დავიარსოთ სასწავლებელი. და რაკი ეს ფული არა კმარა, მაშინ ვსთხოვოთ მთავრობას შეგვაეროთოს სიღნაღის სამოქალაქო სასწავლებელთან—ან საცხენისის სასწავლებელთან და საერთო ხარჯით დავიარსოთ პროგიმნაზია. აი ამ საშუალებით დავიტოვებთ ბავშვებს 14—15 წლამდინ და მერე გამაგრებულნი გავლენ გარეთ. ეს მოსახერხებელია ახლა, რადგან თვით მთავრობა სცდილობს სკოლების საერთოთ გადაბმას. თუ ეს არ მოხერხდა, მაშინ მეც ვეთანხმები საერთო პანსიონ—თავშესაფარის გამართვასაო. ამას დაეთანხმნენ რამდენიმე პირნი. მერე ისევ თავ. ჩოლოყაშვილმა ითხოვა სიტყვა, მაგრამ, რადგან მსმენელნი აღარავინ იყო დარბაზში, მოკლეთ თავისი აზრი ნასიძეს წინადმდეგ წინამძღოლის მოახსენა. როგორც იყო, წინამძღოლმა სთხოვა დამსწრეთ ბალკონიდან დარბაზში შემოსულიყვნენ და როცა შეაგროვა, ამ სამ აზრს კენჭი უყარა. უმეტესობით მიღებული იყო ნაბოძებ ფულით გაიმართოს თავშესაფარი. მეორე კითხვა შეეხებოდა საგუბერნიო კრების მარტიდან ნოემბერში გადატანას, რომელიც ხმის უმეტესობით მიღებული იყო, რომ საგუბერნიო კრებები შემოდგომაზედ მოხდეს ხოლმე.

დამსწრე.

სასამართლო

ექიმის ვოინოს დაჭრა და მარიამ კოსაკოვსკაიას მოკვლა

(დასასრული)

სხდომის გახსნისათანავე ბრალდებულმა ითხოვა საქმის გადადება, რადგანაც ვექილი პახუმოვი, რომელსაც ადრე მიენდო საქმე და, ბრალდებულის სიტყვით, კარგადაც შეისწავლა იგი, ავადმყოფობის გამო არ გამოცხადდა. სასამართლომ არ შეიწყნარა ეს თხოვნ და გადასწყვიტა ამ დღესვე საქმის განხილვა.

ბრალდებულმა უსეინ-რაჰიმ-ოღლიმ განაცხადა, რომ იგი თავს დამნაშავედ არა სცნობს ამ საქმეში. საბრალმდებლო ოქმის წაკითხვის შემდეგ შეუდგნენ მოწმეების გამოკითხვას.

მოწამე ექ. ვოინო. წასულ 1901 წლის 6 ნოემბერს შინ დავბრუნდი 8 საათზე. რადგანაც მეორე დღეს საოპერაციოდ მიწვეული ვიყავი ცხდევანიშვილის საავადმყოფოში, მეც და კოსაკოვსკაიც 11 საათზე დავწექით; ჩვეულებრივ ღრმად ჩამძინებოდა. როგორც შემდეგ გამოვარკვიე, ნაშუაღმევის სამი საათი იქნებოდა, ერთი რაღაც საშინელი ხმაურობა შემომესმა. გამოეღვიძა ქალსაც და მითხრა—გესმის, ეს რა ამბავიაო? არ გასულა ერთი წამიც ვიღაცამ გაჰკრა სპიჩკა, დაგვეცა თავს და დაგვიწყო ცემა მჭრელი იარაღით. გამწარებულმა ბოროტ-მოქმედს ხელი მოვავლე, მაგრამ ისე ძლიერად დამკრა თავში იარაღი, რომ მე წავიქეცი და საწოლს ქვეშ შევძვერი. სადაც გრძნობა დაკარგულს კარგა ხანს არა გამიგია რა, როცა გამოვერკვიე, ვნახე, რომ ვიღაცას ჩემს კაბინეტში სანთელი აენთო და დაფოთარობდა; სანთლის შუქზე გავარჩიე, რომ ჰუსეინი უნდა ყოფილიყო. იქ რაღაც ქაღალდებს ხევა დაუწყო; მე ვიფიქრე, რომ ქაღალდზე ლამპიდან ნავთს ასხამდა და ცეცხლის გაჩენა უნდოდა. ასეთმა საშინელმა წარმოდგენამ იმდენად გამამწარა, რომ კრაოტის ქვეშიდან რკინა გამოვაძრე, წამოვიწიე და რაც ძალი და ღონე მქონდა, შევყვირე: ავაზაკო, არამზადავ, მე შენ მოგკლავ მეთქი! იგი შეშინდა და ამ სიტყვებით „მივდივარ, ბატონოვო" სადღაცა ჰქრა. როცა შევატყვე, რომ ყველაფერი დამშვიდდა, მე წამოვფორთხდი და სკამების საშუალებით კაბინეტისაკენ წაველი, სადაც კარებში დამხვდა წაქცეული და სისხლის მორევში მცურავი მარიამ კოსაკოვსკაია. შემდეგ, როგორც იყო, ფანჯარა გავაღე და საშინელის ხმით გავძახე გვიშველეთქო. ამ ხმაზე ამოვიდნენ პოლიციელნი და პორუჩიკი პესტრიკოვი.

სხვა-და-სხვა კითხვებზე ვოინო ამბობს: გასაღები საწოლ ოთახის კარებისა შეიძლება შემთხვევით დარჩათ კარში ან შეიძლება წინდაწინვე მოეპარეს; სტოლზე ჰქონდა ერთად ფულიანი ქისა და საათი; ქისაში 100 მან. მქონდა ოთხოც-და-ხუთ მანეთიანებადო; ჰუსეინი, რაც დავითხოვე, ორჯელ ვნახე მას აქეთ კიდევ ჩემ სახლში მოსამსახურესთან მოსული. ერთ ღამეს ჩვენსა სძინებოდა და როცა შემთხვევით წავაწყდი, გავაღვიძე და დავითხოვე სახლიდან. შემდეგ აღარ მინახავს, რომ მოსულიყოს. ხასიათით იგი იმდენად უგმეხი იყო, რომ კოსაკოვსკის კიდეც შეედავა რაღაც საქმისა გამო.

მოწამე ვ. პესტრიკოვი. მიხეილის ქუჩაზე ეტლით მოვდიოდი და ასე 3 საათი იქნებოდა საშინელი ყვირილი შემომესმა. ეტლი შევაჩერე, შევედი ვოინოს სახლის ეზოში, სადაც მეეზოვე შვეცი შემხვდა და, როცა ვკითხე—რა ამბავია მეთქი, მითხრა—რა ვიცი, მანდ ასეთი დავიდარაბა აქვთ ყოველთვისაო. ვოინოს საწოლ ოთახში ყოველივე მინგრეულ-მონგრეული იყო. კოსაკოვსკისა უკვე მკვდარი ვნახე; ვოინომ მიმოწვია და ყველაფერი გარემოება საქმისა მომიყვა. (მოწამე იმეორებს ვოინოს ნათქვამს). მოწმის ჩვენებით, ვოინოს პირის სახეზე ისე ჩამოდიოდა დვარად სისხლი, რომ ვერას ხედავდა კარგად.

მოწ. პავლე პერეპელკინი ამბობს, რომ როცა ყვირილზე მივედი, ეზოს კარები დაკეტილი დამხვდაო.

მოწმე სარაჩევს კარგად ახსოვს, რომ ვოინოვს არ უთქვამს, ბოროტების ჩამდენი ჰუსეინიაო.

მოწ. ბოქაული ტერ-გრიქუროვი ამბობს, რომ ვოინოს არ აუწერია მასთან, თუ რა ფულები ჰქონდა ვოინოს, მხოლოდ განაცხადაო, რომ სტოლზე საათი და ფულიანი ქისა მქონდაო. როცა ჰუსეინი მივიყვანეთ ვოინოს სახლში, მან მოკლულის ქალის გვამს ვერ შეხედა და სთქვა თათრულად—თუნდაც მომკლაით, ვერ შევხედაო. მე რამდენადაც ვიცი თათრების ჩვეულება, მათ არ შეუძლიათ შეხედონ თავიანთ მსხვერპლს. ვოინო ძალიან კარგად გრძნობდა თავს და ყველაფერს გარკვევით გვიყვებოდა.

მოწ. ტფ. სამოსამართლო პალატის სამოქალაქო დეპარტამენტის თავმჯდომარემ ივ. სავიცკიმ დაახასიათა ვოინოს და კოსაკოვსკის დამოკიდებულება და დაასკვნა, რომ ისინი მშვიდობიანად სცხოვრებდნენ; სხვათა შორის მოწამემ სთქვა: კოსაკოვსკისას თავის დღიურში იმ ადგილს, სადაც აღნიშნული იყო ჰუსეინის დათხოვნის ამბავი, დაეწერა პოლონურ ენაზე, რომ ჰუსეინი უგმეხი, გაუტეხელი და არა წმინდა ხელის კაციაო.

მოწ. მეტრეველმა (ვოინოს მსახურმა) ძალიან აბნეულად აჩვენა საქმის გარემოება. მან სთქვა, რომ 8 საათზე დაბრუნდა შინ და ვოინოს არ შეეძლო ის ენახა, რადგან კარები კოსაკოვსკისამ გაუღო. სახლის გასაღები მას ჯიბეში ჰქონდა და არ იცის—ამოაცალა ვინმემ თუ სად დაეკარგა.

ნიკოლოზ ხეჩუმოვი და ოლგა ეგოროვისა, რომელნიც ბერიევისავე სახლში სცხოვრობდნენ, აჩვენებენ, რომ მათ ასე ნაშუაღამევის 2 საათზე მოესმათ საშინელი ყვირილი ქალისა და მოესმათ ხმა, ვითომც ქალს მოსაკლავად ვიღაც დასდევდა; გამწარებული ქალი ჰყვიროდა. ცოტა ხნის შემდეგ ხეჩუმოვს კარგად გაუგონია ვოინოს ხმა: „подайте тазъ".

დანარჩენ მოწმების გამოკითხვა სასამართლომ გადასდო საღამოს 7 საათისათვის. სხდომის განახლების შემდეგ განაგრძეს მოწმების ჩვენების ჩამორთმევა.

მოწმე პრიტულინი ამბობს, ჰუსეინს უნახეს ბარათი, რომელშიაც ვოინოს ხელით იყო დაწერილი, რომ ჰუსეინი კარგი და პატიოსანი კაციაო.

ვოინო ამბობს, ალბად ბარათი განსვენებულმა კოსაკოვსკისამ დასწერაო.

მოწმების გამოკითხვის გათავების შემდეგ წაკითხულ იქმნა ჩვენებანი გამომძიებელთან იმ მოწმებისა, რომელნიც სასამართლოში არ გამოცხადნენ. ამათგან საყურადღებო რამ არავის უჩვენებია.

ექსპერტმა ექიმმა პ. ვიხრევმა აღნიშნა შემდეგი: ჰუსეინის ხელზე მან ნახა ტყავი ოდნავ აძრობილი ჰქონდა და როცა ჰკითხა, უსეინს განუცხადებია ეს ძველი გაფხაჭნილიაო. ჰუსეინის ტანისამოსზე რაღაც სისხლია და მისის აზრით, ახლად დასხმულია. ექსპერტის აზრით, ბოროტ-მოქმედი ორი უნდა იყოს. კოსაკოვსკისას აქვს 24 ჭრილობა; სასიკვდილო ჭრილობანი აქვს რამდენჯერმე გულში ზევიდან დაკვრით და ორიც მუცელში. დაჭრის დროს ქალი დაჩოქილი უნდა ყოფილიყო.

ჭრილობანი ვოინოსა და მარიამ კოსაკოვსკისა, ექსპერტის გამოკვლევით, სხვა-და-სხვაა. ქალის ჭრილობანი მეტად პირ მახვილი იარაღით არის, მაშინ როდესაც ვოინოს ჭრილობა უბრალო დანის ან ხანჯლისაგანაა.

შემდეგ თავმჯდომარე შეეკითხა ექიმს ვოინოს: რითი შეუძლიან ახსნას ის გარემოება, რომ მოწამე ხეჩუმოვმა და ეგოროვისამ ღამით გაიგონეს მისი ხმა: „дайте тазъ". ვოინომ განმარტა, შესაძლებელია ჩემი ყვირილი „спасайте насъ" „дайте тазъ"-ად ეჩვენა მოწმეებსაო.

საქმის გამოძიება დასრულდა ღამის 9 საათზედ. სხდომის განახლების შემდეგ ილაპარაკა ბრალმდებელმა ბ-ნმა გლაგოლევმა. განსაკუთრებული ყურადღება მან მიაქცია ზოგიერთ საბრალმდებლო საბუთებს და განაცხადა, რომ ვოინოს კაბინეტში ცალ გვერდზე მიგდებული ხალიჩა და ნივთების მიდაგება იმის მაჩვენებელია, რომ ბოროტმოქმედი გაძარცვის განზრახვით მისულა. ბოროტმოქმედს თუ საფულე ქისის მოტაცების მეტი ვერ მოუსწრია, ეს იმის მიზეზია, რომ ვოინოს ყვირილმა—გვიშველეთო—იგი შეაშინა და დროზედ სახლიდან გაასწრო.

ვოინოს ჩვენება დიდის ყურადღების ღირსია; ვოინომ კარგად ნახა სანთლის შუქზე ჰუსეინი და იცნო იგი. როდესაც ჰუსეინი დაიჭირეს და ჰკითხეს აქვს თუ არა ფული, მან განაცხადა, ერთი კაპეიკიც არა მაქვსო, მაშინ როდესაც ფეხსაცმელებიდან გამოუცვივდა 100 მან. ქაღალდის ფული, რომელიც ვოინოს სახლიდან უნდა იყოს მოტაცებული. შემდეგ ბრალმდებელმა მიაქცია ყურადღება ჰუსეინის ტანისამოსს, რომელზედაც სისხლის კვალი იპოვეს; აღნიშნა ბრალდებულის მხეცური თავს-დასხმა და გასაცრცვავად ქალის მოკვლა, კაცის მოკვლის განზრახვა და განაცხადა დაესაჯნათ იგი საუკუნოდ კატორგაში გაგზავნით.

ვოინოს სამოქალაქო სარჩელის ვექილმა კრასოვსკიმ თავის ვრცელ სიტყვაში უმთავრესი ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ვოინო ამ საქმის გამო უფრო მეტად ზნეობითად არის დაჩაგრული, რადგანაც ბევრი რამ უცნაური ხმები გაავრცელეს ქალაქშიო. ბევრნი გაკვირვებულნი იქმნებიან მით, რომ ჩვენი სამოქალაქო სარჩელის რაოდენობა 10 მანეთით განისაზღვრება; მაგრამ ჩვენ ამ 10 მანეთის მიღება არ გვინდა და თუ ასე მოვიქეცით, მიტომ, რომ ეს 10 მან. ფარად გამოვიყენეთ, რათა სასამართლოს წინაშე ვოინოს მთელი შინაური მდგომარეობის აღწერით ჩამოგვერეცხა ის ლაქა, რომელიც ვოინოს მოეცხო. ამის შემდეგ კრასოვსკიმ გრძელი სიტყვით დაახასიათა, თუ როგორი კეთილი განწყობილება ჰქონდათ 6 წლის განმავლობაში ტკბილად ერთად მცხოვრებ კოსაკოვსკისა და ვოინოს. ბოლოს კრასოვსკი მიემხრო ბრალმდებლის დასკვნას და განაცხადა უარი სამოქალაქო სარჩელზე. უარს ვაცხადებ სამოქალაქო სარჩელზეო, სთქვა მან, რადგანაც იმედი მაქვს, სასამართლო თავისი განაჩენით ზნეობრივად დააკმაყოფილებს ჩემს კლიენტსაო."

ჰუსეინის დამცველი ვექილი ზავრიევი: მოწმების ჩვენებიდან სჩანს, რომ აქ გაძარცვის განზრახვას ადგილი არა აქვს. ბრალმდებელი ამბობს, რომ დაგდებული ხალიჩა და სხვა მიწყობილი ნივთები გაძარცვის განზრახვას ამტკიცებსო; სწორედ უცნაურად გვეჩვენება ასეთი თავხედი ავაზაკი, რომელიც ასე თავისუფლად იმხელა ნივთებს უყრის თავს, რომელთა წამოღება მხოლოდ ურმებით თუ შეუძლია; განა ეს შესაძლებელია ქალაქის შუა-გულში? ვოინოს ჩვენება საწმუნო არ არის, რადგანაც ერთი მისი ნათქვამი მეორეს ეწინააღმდეგება. ზოგიერთ მოწმების ჩვენებას არ შეიძლება არ მივაქციოთ ყურადღება; ისინი დარწმუნებით ამბობენ, რომ ქალის ყვირილი გვესმოდა ნაშუაღამევის ორ-საათიდანო. ამით არ მინდა ვისმეს ჩრდილი მივაყენო, მინდა მხოლოდ აღვნიშნო, რომ ბრალდებას მეტად გამოურკვეველი და ნაკლებ საფუძვლიანი საბუთები აქვს ხელში, როცა გარდაწყვეტით უჩვენებს ჰუსეინზე, როგორც ამ ბოროტ-მოქმედების ჩამდენზე. ზავრიევმა დაწვრილებით აღნიშნა, თუ რამდენად შეუსაბამონი არიან საბრალმდებლო საბუთები, ამტკიცებდა ჰუსეინის სიმართლეს ასეთს ბნელით მოცულს საქმეში და ითხოვა სასამართლოსაგან სრულიად მისი გამართლება.

სასამართლომ თავისი განაჩენი გამოაცხადა ღამის 11 საათზე; ჰუსეინ-რაჰიმ-ოღლი დამნაშავედ იქმნა ცნობილი ვოინოს სახლიდან ქონების მისათვისებლად თავს დასხმასა, მარიამ კოსაკოვსკის მოკვლასა და ექიმ სტანისლავ ვოინოს მოკვლის განზრახვაში და მიუსაჯა ყოველივე უფლება-უპირატესობათა ჩამორთმევა და კატორგაში 20 წლის ვადით გაგზავნა. *)

წერილი კარდანახიდან

ყველა სოფელს თავისი განსაკუთრებული ინტერესი აქვს, მხოლოდ დღეს მთელს მაზრას სეტყვიდან თავის ასაცილებელი საშუალების შეძენის ინტერესი აერთებს. ყველაზე ძალიან კი სოფელ კარდანახელები არიან დაინტერესებულები. ესენი დარწმუნებულები არიან, რომ რაკი სეტყვას თავიდან აიცილებენ, მოსავალი მათ ხელშია. მართლაც დიდი რამ არის სეტყვის თავიდან აცილება. სოფელი ისევ შარშანვე შეუდგა სეტყვის საწინააღმდეგო ზარბაზნების შეძენას და ჯერ დღემდის არა გარიგებულა რა. წელსაც კიდევ დასეტყვა რამდენიმე ვენახი კარდანახში და რამდენიმე ასის თუმნის ზარალი კიდევ მოუტანა სოფელს. ჩემ კითხვაზედ—თუ რითი დაბოლოვეს საქმე, ერთმა კარდანახელმა მომიგო: „აი ახლა მივიღე ტელეგრამა საუფლისწულო მამულების გამგებლის გოგოლისა, რომლიდანაც ვტყობილობთ, რომ ორი თვის ადრე ვერ მივიღებთ ზარბაზნებსაო. ჩვენ კი ყოველ დღე ველოდდით და გვეგონა ახლავე გავაწყობდით საქმეს, რომ წელსვე შევებრძოლებოდით სეტყვასაო. სწორედ მაზრის უფროსათ ნამყოფმა შ—მა დაგვიხვია ხელზე, ის გვპირდებოდა მე გაგიკეთებთ საქმესაო, ჩვენც იმის ხათრის გადუვალი ვერ გავხდით და ასე კი დაგვიგვიანდა საქმე, ზოგი დაგვესეტყვა და ღამის კიდევ დავისეტყვნეთ და წელსაც ცარიელები დავრჩით მოსავლისაგანაო". კარდანახელების ცხოვრება მართლაც სულ ამ ვენახებზეა დამოკიდებული, რადგან კარდანახში მარტო მევენახეობას მისდევენ. მევენახეობას მისდევენ და ღვინითა სცხოვრობენ თავადნი, გლეხნიც და სომხობაც. უკანასკნელი გლეხი რომ ავიღოთ, წელიწადში სულ ნაკლებ ერთ ურემ ღვინოს გაჰყიდის თავის წილათ. თავადნი და შეძლებულნი გლეხნი ხომ ოც, ოცდაათ საპალნეობით ჰყიდიან. ახლა ამისი ჭაჭა-თხლე იანკარიშეთ და არაყი. შემოსავალი მგონი საკმაოდ საყურადღებოა. თუმცა ჯერ კიდევ ბევრნი არიან ურწმუნო თომანი, რომელთაც არა სჯერათ სეტყვის საწინააღმდეგო საშუალება, მაგრამ მაინცა და მაინც წელს თუ არა, შეგნებულთა ჩაგონებით და მეთაურობით, მერმის მაინც მოაწყობენ ამ საქმეს და შეებრძოლებიან ბუნებას, რათა თავიანთი საცხოვრებელი ხელიდან გამოსტაცონ დაუნდობელ მტერს. მხოლოდ კარგი იყო, რომ სხვა სოფლებსაც მიებაძათ ამ კეთილ საქმისათვის და იმათაც შეეძინათ სეტყვის საწინაღმდეგო ზარბაზნები. მაშინ ზარბაზნების შეძენაც უფრო იაფათ დაუჯდებოდათ და ადვილათაც გაემკლავებოდნენ მტერს, რადგან, როგორც ამბობენ გამოცდილებით ნასწავლნი, ერთ ადგას რომ ზარბაზნებს ესვრიან, იქიდგან გაბნეული ღრუბლები სხვაგან გროვდებიან და ახლო-მახლო სოფლებში უფრო ძლიერი სეტყვა მოდის თურმე.

მეზობელი.

წერილი სიღნაღიდან

დაიძინა ქალაქმა, მიეცა ისევ ძველს ძილს და ხანდისხან რომ ბოროტ-განმზრახველთა ავკაცობა და ბოროტება არ შეაფიქრებდეს ხოლმე თავის გასაფრთხილებლათ, ქალაქი გარეშე მაყურებელს ცარიელი ეგონებოდა ხალხისაგან. მაგრამ ეს ბოროტმოქმედნი არიან კიდევაც, რომ უფრო უკეთესათა სარგებლობენ გარემოებით. თუმც, გულახდილათ რომ ვსთქვათ, ამაზედ მშვიდი ქალაქი სხვა არ გვეგულება. დიდი ავაზაკობა ძალიან იშვიათია ხოლმე და ამისთანა საზიზღარი საქციელიც, როგორიც ახლა მოხდა, ძალიან იშვიათათ თუ ყოფილა როდისმე. ამ დღეებში ერთმა ნუკრიანელმა მჭედელმა ღამე ყელი გამოსჭრა თავის შეგირდს ძილის დროს. ამის მიზეზათ ზოგნი შურსა სთვლიან, ვითომ რადგან კარგი ხელობა ესწავლია, ზოგნი კი უფრო სხვა არა სასიამოვნო ეჭვს აბრალებენ. მაგრამ ამაზედ ნაკლებ ყურისათვის შესაზარელი მოსასმენი არც მეორე ამბავია. ერთს 60 წლის სომეხს, სულ ნორჩი 12 წლის ბავშვი, სხვასთან მოსამსახურე ბიჭი ეწვალებინა. თურმე გადაკიდებული იყო ამ ბავშვზედ და მოსვენებას არ აძლევდა საღამ-საღამოობით. რამდენჯერმე ეჩივლა თავის ბატონთან ღამე მარტო ვეღარ დავდგები სახლში, რადგან მეზობელი არ მასვენებსო, მაგრამ არ დაუჯერებია. დაბოლოს მოთმინებიდან გამოსულმა ბავშმა სხვებს უამბო და ესენიც თურმე ჩაუსაფრენ ადგილობრივ დასარწმუნებლათ და კიდეც დარწმუნდენ ბალღის ჩივილში. ბავშვის მამამ განიზრახა ჩივილი, მაგრამ სხვები ჩაერიენ და შინაურულათ გაათავეს საქმე, რის სასყიდლათ სულ 30 მან. დასჯერდნენ. აი, ბატონებო, საქმე

---

*) გუშინ ახალ ამბებში შეცდომით გაგვეპარა ცნობა, ვითომც საქმე გადასდესო· განაჩენი გვიან ღამით გამოცხადდა, როდესაც გაზეთის ბეჭდვა დაიწყეს და წინ-და-წინვე დაწერილ ამბის ამოღება ვერ მოხერხდა.

მივიდა საქმე.ის პირნი, რომელნიც მოვალენი არიან ამისთანა გარემოება და არა სასიამოვნო, ცუდი ზნე გაჰკვეცხონ, მისცეს სასჯელს სხვათა სამაგალითოდ. თითონ აფარებენ ხელს და რამდენიმე მანათით, სარგებლობენ რა თავიანთ მდგომარეობით და საწყალი კაცის გარემოებით, ახუმებენ, რომელიც საზოგადოდ უნდა იყოს დაგმობილი და დასჯილი. აი ეს არის კიდევაც მიზეზი, რომ საზოგადოება ითმენს ამისთანა დასაგმობ საქციელს, და აკი იმიტომ თანდათან უფრო ვრცელდება, ჩვენდა საუბედუროდ. ამისთანა დასაგმობ საქციელს ხშირად მიაფუჩეჩებენ ხოლმე ან ყურადღებას არავინ აქცევს და უბრალო შეცდომისათვის კი ხან ცივ ქვეყნებში ამოაყოფინებენ თავს. აი თუნდა ავიღოთ ამ დღეებშივე მომხდარი ფაქტი, 22 მაისს, საღამოს 5 საათზე, ციხიდან ყარაულს უეცრად ტუსაღი აუხტა ჭერში, ჭერიდან იქვე ახლოს მდებარე სამაზრო სამმართველოს შენობაზე გადავიდა და დაეშვა სოფლებისაკენ· ცოტა ბურუსიანი და წვიმიანი ამინდი შეეწყო და მთლად ხელი შეუწყო ტუსაღის თვალიდან მოფარებას. ამ ამბავმა დიდი ალიაქოთი ასტეხა. ბევრს გადაჰკრა ფერი, ბევრი დაფიქრდა სამსახურის შესახებ. მაგრამ მალე ციხის მცველი მოეწია თურმე ტუსაღს გზის ბოლოს, დაიჭირა და ისევ ციხეში მოიყვანა. ეს გარემოება, რასაკვირველია, შეატყობინეს ბრალმდებელს და გუბერნატორს და ჯერ კიდევ არ ვიცით, რითი დამთავრდება საქმე—სასჯელს დასდებენ ციხეში მოსამსახურეთ თუ მარტო მცირე შენიშვნით გადაატარებენ. ტუსაღი ლეკი იყო—და ციმბირიდან გამოქცევაზე იყო დაჭერილი. აი ამ უბრალო შეცოდებისათვის ამდენი ჯავრი გამოიარეს, შეიძლება ბევრიც მოელოდეთ კიდევაც, ბევრნიც ისე კერძოდ დასცინიან დაუდევრობისაგან და იმისთანა საზიზღარ მოქმედებას კი, როგორიც ზემოთ აღვნიშნეთ, ყურს არავინ უგდებს და შინაურულად არიგებენ. მახლას!..

ვინმე

უცხოეთის წვრილი ამბავი

მუსიკის გავლენა სასმელების მოთხოვნაზე ანტრაქტებში წარმოდგენის დროს. ახირებული სასაცილო ცნობები შეუკრებია პარიზის თეატრის „გრანდ ოპერა“—ს ბუფეტის პატრონს, რომლებიც ერთს ფრანგულს გაზეთშია დაბეჭდილი:

„გრანდ ოპერის“ მებუფეტის დაკვირვებით, ყველა ოპერას თავისი გავლენა აქვს სასმელ-საჭმელის თვისება-რაოდენობაზე, რომელსაც თეატრში დამსწრენი ითხოვენ ანტრაქტების დროს. „ფაუსტის“ წარმოდგენის დროს უფრო მეტსა სვამენ, ვიდრე სხვა ოპერების დროს. აშკარაა, რომ გუნოს მუსიკა ძალიან მოქმედებს მსმენელის დასუსტებულს ნერვებზე და ძლიერ წყურვილს იწვევს მასში. ყველაზე დიდი შემოსავალი წლის განმავლობაში „ფაუსტს“ შემოაქვს. ლიმონადი წყალივით მიდის, შამპანიურის გახსნას ვერ ასწრობენ. სამაგიეროდ, არაფერ საჭმელს ხელს არ ახლებენ. მეირბერის ოპერები-„მაროჟნის“ დღესასწაულია.

„გუგენოტები“ დიდძალ ვანილს და ლიმონებს ანადგურებენ. დონიცეტის „ლიუჩია“ და ან „ფავორიტკა“ ძალიან ასაღებენ ფორთოხლებს.

ბალეტის დროს ფუნჯი მეფობს. ხოლო ვაგნერის ოპერები, მაგალითად, „ზიგფრიდ“ საშინელ სალამოებს წარმოადგენენ; მთლად სამარის სიჩუმეა: არავინ არც არაფერსა სჭამს და არცა სვამს. ხან და ხან ბუფეტთან გაირბენენ ნიავ-ქარივით... დაღლილ—დაწყვეტილები მიბნედილს თვალებით. ამით თავდება მებუფეტის შენიშვნები.

* *

ვილჰელმ მეორის აზრი თეატრზე. ვინმე ქალი მარგარიტა დიურანდი ერთს გაზეთში სწერს თავის ბაასს იმპერატორ ვილჰელმ მეორესთან.

ეს ბაასი მომხდარა ეხლახან ვისბადენის თეატრის ფოიეში; ამ დღეს ოპერა „ობერონ“-ი მიდიოდა. იმპერატორი თეატრის დანიშნულებას შეეხო და დაახლოვებით შემდეგი სთქვა:

„სცენა უნდა იყოს უძლიერესი ფაქტორი აღზრდისა და უმაღლესის ზნეობისა, მხოლოდ მე, გარდა ამისა, სცენისაგან მოვითხოვ სიმშვენივრეს, გემოვნებას და იდეალური ცხოვრების განხორციელებას—გამოხატვას. წარმოდგენის შემდეგ ჩვენ თეატრიდან არ უნდა გამოვდიოდეთ სასოწარკვეთილნი, დალონებულნი, დაღვრემილნი მძიმე სურათების შთაბეჭდილების გამო, პირიქით, თეატრიდან უნდა გამოვდიოდეთ გამხნევებულნი, რომ მზად ვიყოთ იდეალისთვის საბრძოლველად, რომლისკენაც ხომ ჩვენ ყველანი მივილტვით.

სინამდვილე უიმისოდაც ბნელია. ვინც, ზოგიერთი დღევანდელი ავტორებივით, იმასა ფიქრობს, რომ წარმოგვიდგინოს და დაგვიხატოს მხოლოდ ეს ბნელი სინამდვილე, ის სამწუხარო და მავნე საქმეს სჩადის.

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

28 მაისი

პეტერბურგი. დღეს, 28 მაისს, მოვიდა პეტერგოფში ბოლგარიის მთავარი ფერდინანდი. ვოკზალზე დასახვედრად მოვიდნენ მინისტრები გარეშე საქმეთა, სასახლისა და გზათა, აგრეთვე ოსმალოს ელჩი საელჩოს მოხელეებით. მატარებლის მოსვლამდის მოვიდნენ დიდი მთავრები ვლადიმირ ალექსანდრეს ძე, მიხეილ ნიკოლოზის ძე და სერგეი მიხეილის ძე. ბოლგარიის მთავარი და დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე ეკიპაჟით წავიდნენ დედოფლის საკუთარ აგარაკ ალექსანდრიაში, სადაც უმაღლესი სტუმარი მიიღეს მათ უდიდებულესობათ.

როსტოვი. დაარსდა საზოგადოება, რომელიც დაეხმარება საპყრობილიდან განთავისუფლებულებს.

ვიბორგი. გუშინ გადაიწვა ქაღალდის ქარხანა.

ხარკოვი. თიბვა დაიწყეს; შესანიშნავი ბალახებია; მუშა გაძვირდა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატაში ხაზინის კანცლერმა განაცხადა, რომ პურს ბაჟი დაედვა მხოლოდ შემოსავლის გასაძლიერებლად და ეს არ ნიშნავს ინგლისის ახალშენების წარმოების უპირატესობას სხვა ხალხის ნაწარმოებზე. მთავრობა ეცდება ახალშენებთან გაჭრობა უფრო თავისუფალ ჰქონს სხვა სახელმწიფოების დაუზარალებლად. წინადადება, რომ პურის გარდასახადი მხოლოდ ერთის წლით იყოს, უარჰყვეს 236 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 173 ხმისა.

კონსტანტინეპოლი. ფირმილიანი გუშინ სალონიკში ეპისკოპოსად აკურთხეს. დღესასწაულს დაესწრო რუსეთის კონსული მაშკოვი.

ლონდონი. კანეიდან იტყობინებიან, რომ მაჰმადიანები ძალიან აღელვებულები არიან იმის გამო, რომ ჩასაფრებულმა ქრისტიანებმა ოთხი მეზღვაური—მაჰმადიანი მოჰკლეს.

ლონდონი. კიტჩენკთან 25 მაისს ერთი ოფიცერი მოჰკლეს და მეორე დასჭრეს. იმავე დღეს დასჭრეს ერთი ჯარის-კაცი.

ვაშინგტონი. წარმომადგენელთა პალატამ 175 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 38 მიიღო კანონ-პროექტი ანარქისტების წინააღმდეგ. წინადადება იმაზე, რომ გამოირიცხოს სტატია სიკვდილით დასჯაზე ელჩების მკვლელობისთვისაც, უარჰყვეს.

რომი. დღევანდელს კონსისტორიაში პაპმა დანიშნა ეპისკოპოსებად პოლონეთში ზღზიტოვეცი, ხოლო რიპპი ტირასპოლში.

მოსკოვი. ამ დღეებში ქალაქის თვით-მმართველობაში შემოიტანეს კიურემ და ბალინსკიმ რამდენიმე მილიონის პროექტი ჭაერში და მიწის ქვეშ ელექტრონის და ორთქლის ტრამვაების გაკეთების შესახებ.

ბაქო. თეთრი ქალაქის უბედურების საქმის გარჩევის შემდეგ შემდეგ, სასამართლომ გაამართლა ორივე ბრალდებული—არნოლდ ფეიგლი და გუხმანი.

29 მაისი

პარიზი. დეპუტატთა პალატაში მინისტრ-პრეზიდენტი კომბი კითხულობს ახალი სამინისტროს დეკლარაციას. უწინარეს ყოვლისა იმაში მოყვანილია, რომ საყოველთაო ხმის მიცემამ მოიწონა წინანდელი მთავრობა. დეკლარაცია იწვევს დაიცვან ერთიანობა უმეტესობაში, რომელიც აღმოჩნდა უკანასკნელი არჩევნების შედეგად, შეასრულონ რეფორმები, რომელშიაც მხარე უფრო საჭიროებს, ვიდრე როდისმე.—„ჩვენ,—ნათქვამია დეკლარაციაში,—მთელის ენერგიით ვიბრძოლებთ იმათთან, რომელნიც რომ შეეხებიან ჩვენს რესპუბლიკანურს მმართველობას და ეცდებიან ჯარები გადაუდგნენ თავის მოვალეობას. ჩვენ შევიძლებთ შორს დავიჭიროთ ჯარები პოლიტიკისგან და არ მოვუთმენთ სასულიერო წოდების ნაწილმა გაუეროოს ეკკლესია სასულიერო კონგრეგაციებს. ვიზრუნავთ ჩვენი მხრის კანონების ხმარებაზე, რესპუბლიკის კანონებს დავიცვავთ ყოველის ღონისძიებით, რომელიც კი მთავრობასა აქვს. მთავრობა შეეცდება, რომ ამ კანონის არც ერთი დადგენილებაუქმად არ დარჩეს. თქვენ წარმოგიდგენენ 1850 წლის კანონის გაუქმების პროექტს ხალხის განათლებაზე, რომ სახელმწიფომ კვალად დაიჭიროს ის ადგილი, რომელზედაც თავის დღეში უარი არ უნდა სთქვას და იზრუნოს განათლებაზე, რომელიც ყოველ მოქალაქეს მიეცემა“.

პარიზი. სამინისტრო დეკლარაციის ნაწილი, რომელიც შეეხება გარეშე პოლიტიკას: „ჩვენი გარეშე პოლიტიკა არასოდეს არ განიშორებს ხსოვნიდან უმაღლესს და სამუდამო ინტერესებს ჩვენის მხრისა, მხარს დაუჭერს კავშირს, რომლის საკეთილდღეო მოქმედებას საფრანგეთი და რუსეთი ერთნაირად აფასებენ და რომელშიაც საყოველთაო აზრით ხედავენ ნამდვილ თავმდებს მშვიდობიანობისას. ის იზრუნავს განწყობილებაზე და მეგობრულს კავშირზე. ვინაიდგან პატივსა სცემს სხვის უფლებას, ის ეხლა შეეცდება საფრანგეთის ზნეობრივი და მატერიალური კეთილდღეობა დაიკავოს ხელ შეუხებელი“. დეკლარაციას მრავალი ტაში დაუკრეს. სხდომა დაიხურა.

ლონდონი. დეპუტატთა პალატამ 279 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 193 მიიღო საფინანსო კანონ-პროექტის პირველი ნაწილი, რომელშიაც მოხსენებულია გარდასახადი პურზე.

პრეტორია. აქამდის იარაღი დაჰყარეს 7,000 ბურებმა.

ჰააგა. მეორე პალატამ ერთის ხმით დაამტკიცა კონვენცია გერმანიასთან შესახებ აზიის ახალშენების შეერთებისა კაბელით, რომელსაც გააკეთებს გერმანიის და ჰოლანდიის ახალშენი.

პეტერბურგი. საერო განათლების სამინისტრო აცხადებს, რომ ამა წლის ოთხს სექტემბერს ჰამბურგში გაიხსნება მეცამეტე საერთაშორისო კონგრესი ორიენტალისტებისა.

გამომც. და დრ. რედაქტორი **ალ. ჯაბადარი.**

გამოსადეგი ცნობანი

პეტერბურგის ბირჟა 24 მაისს

ვექსილის კურსი 3 თვით:

ლონდონზე 10 გირვ. სტ.—ში	94,15	
ბერლინზე 100 მარკაში	—	
პარიზზე 100 ფრანკში	37,40	
ლონდონზე ჩეკები	94,90	
ბერლინზე „	46,30	
პარიზზე „	37,62½	
ბირჟის დისკონტი	4½—6½%	
4% სახელმწიფო რენტა	96¾	გაყიდ.
4%-ანი სახელმწ. სესხი 1902 წ.	98¾	მყიდვ.
4½% შინაგანი სესხი 1893 წ.	—	
4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ.-მამ. ბანკისა.	—	
5% 1-ლ შინაგან სესხის მომგებ. ბილ. 1864 წ.	475	გაყიდ.
5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ.	362	„
5% გირავნ. მომგ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა	292	„
5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ.	88⅜	„
4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა	83¼	„
ტფილ. საადგილ-მამ. ბანკის 5% გირავნ. ფურც.	89⅝	„
4½% გირავნობის ფურც. ამავე ბანკისა	—	
ქუთაისის საადგილ-მამ. ბანკის 6% გირ. ფურც.	—	
5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა.	—	
ა. ი. მანთაშევისა და ამხ. აქცია.	182	„

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

(ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში კი—ტფილისისა)

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს—1) № 1 სწრაფი—დილის 6 ს. და 45 წ. (7 ს. 43 წ.); 2) № 3 საფოსტო—ნაშუადღევის 5 ს. 9 წ. (6 ს. 7 წ.); 3) № 5 სამგზავრო—დილის 8 ს. 29 წ. (9 ს. 27 წ.).

ბაქოს—1) № 2 სწრაფი (მხოლოდ პარასკევობით)—დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.) 2) № 4 საფოსტო—დილის 12 ს. 36 წ. (1 ს. 34 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღამოს 7 ს. 24 წ. (8 ს. 22 წ.).

ბორჯომს—№ 7—დღის 1 ს. 30 წ. (2 ს. 28 წ.).

ყარსს—№ 74/75 საღამ. 8 ს. 30 წ. (9 ს. 28 წ.).

ტფილისში მოდის:

ბათუმიდან—1) № 2 სწრაფი—დილის 9 ს. 4 წ. (10 ს. 2 წ.); 2) № 4 საფოსტო—დილის 11 ს. 34 წ. (12 ს. 32 წ.); 3) № 6 სამგზავრო—საღ. 6 ს. 39 წ. (7 ს. 37 წ.).

ბაქოდან—№ 1 სწრაფი (შაბათობით)—დილის 2 ს. 45 წ (3 ს. 43 წ.); № 3 საფოსტო—დღის 3 ს. 56 წ. (4 ს. 54 წ.); № 5 სამგზავრო—დილის 7 ს. 39 წ. (8 ს. 37 წ.).

ბორჯომიდან—№ 8—საღ. 5 ს. 59 წ. (6 ს. 57 წ.).

ყარსიდან—№ 76/77 დილის 6 ს. 20 წ. 7 ს. 18 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) № 2 სწრაფი—ღამის 10 ს. 10 წ. (11 ს. 8 წ.); 2) № 4 საფოსტო—საღამ. 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); № 6 სამგზავრო—დილის 7 ს. 5 წ. (8 ს. 3 წ.).

გ) ქუთაისიდან გამოდის:

ტფილისისაკენ—1) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ.); 2) ღამის 2 ს. 50 წ. (3 ს. 48 წ.).

ბათუმისაკენ—1) დღის 12 ს. 55 წ. (1 ს. 53 წ.) 2) ღამის 12 ს. 30 წ. (1 ს. 28 წ). 3) დღის 3 ს. 40 38 წ. (4 ს. წ..)

შორაპანისაკენ—დღის 2 ს. (2 ს. 58 წ.).

განცხადებანი

სტუდენტი

ამზადებს გიმნაზიებისათვის, სათავად-აზნაურო, სასულიერო და სამოქალაქო სასწავლებლებისთვის. მეორე თუმანოვის ქუჩა, № 21. (3—1)

„იუჟნიე ნომერა“

(ბარონის ქუჩაზე, მანთაშევის სახლში)

სრულიად ახლად გადაკეთებულია, ქალაქის შუაგულში, ფოსტა-ტელეგრაფის ახლო. ნომრები 60 კაპ. დაწყებული; თვიურად—15 მან. და მეტი. სისუფთავე და კარგი წეს-რიგი. (6—4)

ზ ი ს

ნახშირის საწყობი

იაგორ მამინაიშვილისა

(საკუთარი ტყიდან)

კურის მოედანზე, ყაფანთან

ისყიდება საუკეთესო გაცხავებული და მშრალი **ნახშირი.**

შინ მიტანით 1 **ფუთი** 40 **კაპ.**).

ტელეფონი № 754. (·წ).

ცინკოგრაფია

წიგნებ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა

ვანქის დიდი ქუჩა, № 27, ტელეფონი № 372.

კლიშეების გაკეთება შეიძლება ფოტოგრაფიული სურათებიიდან ხელით ნახატებიდან.

ქალთა ამხანაგობის სამკერვალოში მიიღებენ ყოველ გვარ

ს ა კ ე რ ა ვ ს:

კაბებს, წამოსასხამებს საცვლებს და საცვლებზედ ნიშნებს, (მეტკებს).

ბარონის ქუჩა, № 12 (10—1)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობის»

კ ი ო ს კ შ ი,

ლორის-მელიქოვის ქუჩა, ალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

	მ.	კ.
დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანასი.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
დ. ყაზბეგის I, II და III ტომი თითო	1	—
იგივე IV ტომი კარგ ქაღალდზე	1	50
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ.	—	80
სოფლის კუნწულა—დ. მაჩხაანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუვე—საბა სულხან ორბელიანისა.	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტომი თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	30
სამზარეულო—ქართული და ევროპიული საჭმელებისა.	1	20
აივენგო, რომანი—ვალტერ სკოტისა	—	50
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	15
დვინის დაცემა პროფეს. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—გენრიკ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
ტარტიუფი, კომედია 5 მოქ. მოლიერისა	—	50
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა.	—	20

პროვინციელთ შეუძლიანთ წიგნები ფას დადებით გაიწერონ, ხოლო გაწერილ წიგნების ფასის ერთი მესამედი პირველად უნდა წარმოადგინონ. მანეთზე ნაკლები ფული შეუძლიანთ ფოსტის მარკებით გამოგზავნონ. ფოსტის ადრესი: Тифлисъ Грузинское Издательское Товарищество.